

PECULIARITIES OF THE REPRESENTATION OF GEORGIAN FOLKLORE IN
COUNTESS UVAROVA'S "TRAVELER'S NOTES"

ქართული ფოლკლორის ასახვის თავისებურებანი გრაფინია უვაროვას
„მოგზაურის ჩანაწერებში“

Tamar Pitskhelauri

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of humanities,
PhD student in Georgian Literature (Folkloristics), Invited lecturer,
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, 0179, Tbilisi, Georgia,
+995558363015, tako.pitskhelauri@gmail.com
<https://orcid.org/0009-0004-8588-1165>

Abstract. The article is dedicated to the scientific work of Countess Praskovya Uvarova, an active member of the Moscow Archaeological Society. More specifically, it focuses on her expeditions to Georgia and the distinctive way in which she described Georgian folklore in her "Traveler's Notes". Although the Countess was primarily engaged in archaeological work, her writings also contain valuable folkloric and ethnographic material.

In the second half of the 19th century, the Russian Empire aimed to scientifically study the Caucasus region, turning this process into a kind of "cultural tool" for colonization. Special significance was given to the activities of Russian officials and travelers. They operated in line with imperial interests. One such traveler was Countess Praskovya Uvarova, who thoroughly documented Georgian temples and the treasures preserved within them. She undertook three expeditions to Georgia (in 1886, 1891, and 1895), later publishing her notes about the Caucasus in three volumes. Praskovya Uvarova's works are mainly descriptive.

Her journals include a wide range of folklore and ethnographic material, which can be grouped as: Legends about the founding of sacred shrines; Myths about Georgian kings and individual mythological narratives. One of the main themes is the cult of trees and the mythos of sacred forests, as well as narratives about Kopala's stone and legends about Chilang/Chiling Efendi and Batraz.

Her main interests were architectural monuments, shrines, temples and, accordingly, her notes offer detailed descriptions of these sites. She meticulously records their architecture, condition, and the treasures they housed. Several peculiarities can be observed in Uvarova's recorded texts:

1. She completely disregards the standard rules for recording folklore texts, writing down only general content rather than the storyteller's exact words.
2. None of the narratives include a "passport" (i.e., the name of the storyteller, place, or date of collection).
3. In her commentary, she cites works by Caucasus researchers (Gustav Radde, Marie Brosset, F. Dubois, V. Pfaff, etc.) and confidently offers her own conclusions.
4. She demonstrates excellent knowledge of terminology (using terms such as Dzuari, Khevisberi, Dasturi, etc.).

Despite these shortcomings, the material collected by Praskovya Uvarova is extremely valuable to folkloristics. It provides insights that may have been lost in later versions.

Keywords: Uvarova, Caucasus, Traveler, Folklore, Kopala.

თამარ ფიცხელაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

ქართული ლიტერატურის

(ფოლკლორისტიკა) დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი;

ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1, 0179, საქართველო,

+995558363015, tako.pitskhelauri@gmail.com

<https://orcid.org/0009-0004-8588-1165>

აბსტრაქტი. სტატია ეძღვნება გრაფინია პრასკოვია უვაროვას, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების აქტიური წევრის სამეცნიერო მოღვაწეობას. უფრო კონკრეტულად კი, ექსპედიციებს საქართველოში და ქართული ფოლკლორული ნიმუშების აღწერის თავისებურებებს მის „მოგზაურის ჩანაწერებში“. მიუხედავად იმისა, რომ გრაფინია არქეოლოგიურ საქმიანობას ეწეოდა, მის ჩანაწერებში ვხვდებით ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალასაც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის მიზანი გახდა კავკასიის რეგიონის მეცნიერული შესწავლა, რაც კოლონიზაციის ერთგვარ „კულტურულ ინსტრუმენტად“ იქცა. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსი მოხელეებისა და მოგზაურების საქმიანობა-მოღვაწეობას. ისინი რუსული იმპერიის ინტერესების თანახმად მოქმედებდნენ. სწორედ ასეთი მოგზაური იყო გრაფინია პრასკოვია უვაროვა, რომელმაც დეტალურად აღწერა ქართული სალოცავები და საგანძური, რომელიც მათში ინახებოდა. მან სამჯერ იმოგზაურა საქართველოში (1886, 1891, 1895 წწ.) და სამ ტომად გამოსცა თავისი ჩანაწერები კავკასიის შესახებ. მისი ნაშრომები ძირითადად აღწერითი ხასიათისაა.

დღიურებში წარმოდგენილია მრავალი ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც დაყოფილია შემდეგ ჯგუფებად: გადმოცემები სალოცავთა დაარსების შესახებ, ლეგენდები ქართველ მეფეებზე და ცალკეული მითოლოგიური გადმოცემები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა ხის კულტი და წმინდა ტყეების მითოსი. ასევე, კოპალას ნასროლი ქვა და ცალკეული გადმოცემები ჩილანგ/ჩილინგ ეფენდისა და ბათრამზე. პრასკოვია უვაროვას მიერ ჩაწერილ ტექსტებში გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება. კერძოდ:

1) იგი სავსებით უგულვებელყოფს ფოლკლორული ტექსტის ჩაწერის წესს, კერძოდ, ჩაწერილი აქვს ზოგადი შინაარსი და არა მთქმელის სიტყვები.

2) არც ერთ გადმოცემას არ აქვს პასპორტი (მთქმელის ვინაობა, ჩაწერის დრო და ადგილი).

3) მსჯელობისას იმოწმებს კავკასიის მკვლევართა ნაშრომებს (გუსტავ რადე, მარი ბროსე, ფ. დიუბუა, ვ. პფაფი და ა.შ.) და ასევე საკუთარ დასკვნებსაც თამამად აკეთებს.

4) შესანიშნავად ფლობს ტერმინოლოგიას (იყენებს ტერმინებს „ძუარი“, „ხევისბერი“, „დასტური“ და ა.შ.).

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებისა, პრასკოვია უვაროვას მიერ შეკრებილი მასალა ძალზე მნიშვნელოვანია ფოლკლორისტიკისათვის. ის ისეთ ცნობებს გვაწვდის, რომელიც შეიძლება უფრო გვიანდელ ვარიანტებში დაკარგული იყოს.

საკვანძო სიტყვები: უვაროვა, კავკასია, მოგზაური, ფოლკლორი, კოპალა.

შესავალი. 1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიამ სხვადასხვა სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ცვლილება გამოიწვია. კავკასიის რეგიონში საბოლოოდ დამყარდა რუსული მმართველობა. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსი მოხელეებისა და მოგზაურების საქმიანობა-მოღვაწეობას. რუსეთის საიმპერატორო კარს კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო ახლად შემოერთებული ტერიტორიების არა მხოლოდ ფიზიკური შენარჩუნება, არამედ მათი ინტეგრაცია. ამიტომ აუცილებელი გახდა კავკასიის, როგორც რეგიონის მეცნიერული შესწავლა, მათი ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ენის, წარმომავლობის ცოდნა, კავკასიის ხალხთა ეფექტურად სამართავად და გასაკონტროლებლად.

გარდა პრაქტიკული ცოდნისა, კავკასიის შესწავლა ხელს უწყობდა რუსული იმპერიის პროპაგანდისტულ მიზნებსაც. მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ ჩატარებული კვლევები, გამოქვეყნებული ნაშრომები თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა რუსეთის პროგრესს და მიღწევებს რეგიონში, რაც იმპერიის ძლიერებასა და გავლენას განამტკიცებდა. ფაქტობრივად, მან განმანათლებლის როლი მოირგო და გარდა ფიზიკური ანექსიისა, კულტურის ანექსიაზეც ჰქონდა პრეტენზია.

თითოეული მოხელე თუ მოგზაური, რომელიც კავკასიის რეგიონში ჩამოდიოდა, რუსული იმპერიის ინტერესების თანახმად მოქმედებდა. ერთ-ერთი ასეთი მოგზაური იყო გრაფინია პრასკოვია უვაროვა (შჩერბატოვა), რომელმაც დეტალურად აღწერა ქართული სალოცავები და საგანძური, რომელიც მათში ინახებოდა. გრაფინია უვაროვას შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს ვხვდებით თეიმურაზ ჯაგოდნიშვილის წიგნში „ფოლკლორისტიკის ისტორია“, მისი შრომების მხოლოდ ფრაგმენტებია ნათარგმნი, ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა ფოლკლორისტიკის ჭრილში კი, ჯერჯერობით, დღემდე არ არსებობს.

პრასკოვია უვაროვა (შჩერბატოვა) მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების აქტიური წევრი გახლდათ. იგი 1840 წლის 28 მარტს დაიბადა სოფელ ბობრიკში, ხარკოვის გუბერნიაში, სერგეი შჩერბატოვისა და პრასკოვია სვიატოპოლ-ჩეტვერტინსკაიას ოჯახში. მან დედის წყალობით სახლში არაჩვეულებრივი განათლება მიიღო. სწორედ მისი დაჟინებით რუსულ ლიტერატურას მას ბუსლაევი ასწავლიდა, მუსიკას - თავად რუბინშტეინი, ხოლო ფერწერას - სავრასოვი, ფლობდა სამ ენას (Капитонов, 2011). პრასკოვია თავისი ეპოქის უმშვენიერეს ქალბატონად ითვლებოდა და ახალგაზრდა ტოლსტოიზეც მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება. მწერალი თავის მოგონებებში წერს, რომ „ანა კარენინას“ პერსონაჟის, კიტი შერბატკაიას პროტოტიპი სწორედ შჩერბატოვა გახლდათ (Толстой, 1939: 567). მისი სახელი ვარდის ერთ-ერთ სახეობასაც კი დაარქვეს „Comtesse Ouwaroff“. 18 წლის ასაკში იგი წარუდგინეს სამეფო კარს, კერძოდ, იმპერატორ ალექსანდრე II-ეს. სწორედ ამ მეჯლისზე გაიცნო მან ახალგაზრდა ალექსეი უვაროვი, რომელსაც სავსებით სამართლიანად უწოდებდნენ „რუსული არქეოლოგიის მამას“. ისინი მალევე დაქორწინდნენ. გრაფინია გათხოვების შემდეგ დაინტერესდა მეცნიერებით. იგი ქმარს თითქმის ყველგან თან ახლდა და რამდენჯერმე დაესწრო პომპეის გათხრებს. მეუღლე ყველანაირად ხელს უწყობდა მის გატაცებას არქეოლოგიით და სულ მალე გრაფინია გამოცდილი არქეოლოგი გახდა. ალექსეისა და პრასკოვიას შვიდი შვილი შეეძინათ, თუმცა ამას სულ არ შეუშლია ხელი წყვილის სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. ისინი ერთად მონაწილეობდნენ შავი ზღვისა და კავკასიის ექსპედიციებში, იკვლევდნენ ვლადიმირის ძველ ყორღანებს. ალექსეიმ დააარსა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოება და წარმატებით ხელმძღვანელობდა მას. პრასკოვია უვაროვამ კი გამოაქვეყნა 200-მდე არქეოლოგიური ნაშრომი და ქმრის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოების ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე აიღო. მან ჩაატარა ცხრა ყრილობა და დატოვა მდიდარი არქეოლოგიური არქივი.

კავკასიამ გრაფინიას ყურადღება 1880-იან წლებში მიიპყრო. ამ რეგიონში ჩამოსასვლელად მას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

1) გაუნელელებელი ინტერესი მეცნიერებისადმი. იმ პერიოდისთვის კავკასია რუსეთში ეგზოტიკურ, საოცრებებით სავსე მხარედ ითვლებოდა, რაც არქეოლოგიაზე შეყვარებულ ქალს მრავალ თავგადასავალს ჰპირდებოდა

2) პირადი და ოჯახური ინტერესები - მისი ოჯახი რუსეთის იმპერიის სამეცნიერო ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, შესაბამისად, ეს ექსპედიციები კიდევ უფრო მეტ წარმატებას მოუტანდა მათ.

3) რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ინტერესები - მე-19 საუკუნეში იმპერია აქტიურად ცდილობდა ამ რეგიონის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დეტალურად შესწავლას, კავკასიის ხალხთა წეს-ჩვეულებების, ტრადიციების აღნუსხვას, მათთან დაახლოებას, რათა შემდეგ გაეძლიერებინა საკუთარი პოლიტიკური პოზიციები. ეს სტრატეგია საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა. ერთ-ერთი მოხელე ლაზარევი გენერალ კნორინგისადმი მიწერილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქართველები მანიფესტის მიღების შემდეგ იმდენად აღიქვამდნენ თავს რუსული იმპერიის ნაწილად, რომ ქართველის დამახეზა მათში გაღიზიანებასაც იწვევდა (Лазарев, 1866: 516).

1886-1895 წლებში გრაფინია უვაროვამ ორჯერ მოაწყო ექსპედიცია საქართველოში. პირველი ექსპედიცია 17 დღე გრძელდებოდა და მის ფარგლებში მოიარა აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი და სამცხე. მეორე ექსპედიცია შედგა 1895 წელს და ამჯერად უფრო დიდხანს (თვენახევარი) გაგრძელდა. მის ფარგლებში არქეოლოგმა იმოგზაურა ერწო-თიანეთში, ფშავეში, ხევსურეთსა და სვანეთში. ამ და კავკასიის სხვა ექსპედიციების ფარგლებში გრაფინია უვაროვამ შეაგროვა მდიდარი მასალა, რომელიც დღიურების სახით გამოაქვეყნა ქმრის გარდაცვალების შემდეგ. დღიურს მან მოგზაურის ჩანაწერები დაარქვა და სამ ტომად გამოაქვეყნა:

- 1) მოგზაურის ჩანაწერები, (საქართველო, სომხეთი) 1887 წ.
- 2) მოგზაურის ჩანაწერები (აფხაზეთი, აჭარა, შავშეთი, ფოცხოვის ოლქი), 1891 წ.
- 3) მოგზაურის ჩანაწერები (რაჭა, გორის მაზრა, ოსეთის მთიანეთი, ფშავე, ხევსურეთი და სვანეთი) 1904 წ.

დღიურები მრავალფეროვან და მდიდარ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავენ. ისინი რამდენიმე ჯგუფად დავყავი:

- 1) გადმოცემები სალოცავთა დაარსების შესახებ
- 2) ლეგენდები ქართველ მეფეთა შესახებ
- 3) ცალკეული მითოლოგიური გადმოცემები

გრაფინია უვაროვამ სამივე გამოცემა თავისი მეუღლის, ალექსეი უვაროვის ხსოვნას მიუძღვნა. იგი 84 წლის ასაკში 1924 წელს გარდაიცვალა სლოვენის ქალაქ დობრნაში. „მეცნიერთა შორის პრასკოვია სერგეევანა უვაროვას ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს... ნაკლებად სავარაუდოა, რომ მალე კვლავ ვიხილოთ ასეთი მოღვაწე - უანგარო, ენერგიული, მეცნიერებისადმი თავგანწირვამდე თავდადებული, ნიჭიერი, ფართოდ განათლებული, როგორც უვაროვა იყო“ (Соболевский, 1925: 141-144). მან მდიდარი მეცნიერული არქივი და ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, რითაც უკვდავყო თავისი სახელი.

მეთოდები. კვლევისას ვიყენებ როგორც კომპარატივისტულ, ასევე ფილოლოგიურ და ანალიტიკურ მეთოდს. ავტორის ნაშრომებში წარმოდგენილ ფოლკლორულ მასალას ვიკვლევ დიაქრონულ ჭრილში და ვადარებ სხვა მეცნიერთა მიერ ჩაწერილ ვარიანტებს. ვეყრდნობი არაერთ სამეცნიერო სტატიასა და ნაშრომს. კვლევა ინტერდისციპლინურია. როგორც ვიცით, ფოლკლორისტიკა მჭიდროდაა გადაჯაჭვული მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებთან, კერძოდ, ეთნოგრაფიასა და ეთნოლოგიასთან. ამიტომ ის

არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ცნობები, რომელსაც გრაფინია უვაროვას შრომებში უხვად ვაწყდებით, მდიდარ მასალას გვაძლევს ფოლკლორის კვლევისთვისაც.

შედეგები. პრასკოვია უვაროვას დღიურები მრავალფეროვან და მდიდარ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავენ. ისინი რამდენიმე ჯგუფად დავყავი:

- 1) გადმოცემები სალოცავთა დაარსების შესახებ
- 2) ლეგენდები ქართველ მეფეთა შესახებ
- 3) ცალკეული მითოლოგიური გადმოცემები.

მის მიერ ჩაწერილ ტექსტებში გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება. კერძოდ:

1) გრაფინია სავსებით უგულვებელყოფს ფოლკლორული ტექსტის ჩაწერის წესს, კერძოდ, ჩაწერილი აქვს ზოგადი შინაარსი და არა მთქმელის სიტყვები.

2) არც ერთ გადმოცემას არ აქვს პასპორტი (მთქმელის ვინაობა, ჩაწერის დრო და ადგილი).

3) მსჯელობისას იმოწმებს კავკასიის მკვლევართა ნაშრომებს (გუსტავ რადე, მარი ბროსე, ფ. დიუბუა, ვ. პვაფი და ა.შ.) და ასევე საკუთარ დასკვნებსაც თამამად აკეთებს.

4) შესანიშნავად ფლობს ტერმინოლოგიას (იყენებს ტერმინებს „ძუარი“, „ხევისბერი“, „დასტური“ და ა.შ.).

აღნიშნული ხარვეზები დაკავშირებული უნდა იყოს ენობრივ ბარიერთან და იმ ფაქტთან, რომ ფოლკლორული ტექსტის ჩაწერის კრიტერიუმები ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული გრაფინიას მოგზაურობის პერიოდში.

მსჯელობა. გრაფინია უვაროვას ყურადღება მიიქცია ხევში, სამეგრელოში, ოსეთსა და აფხაზეთში არსებულმა წმინდა ხეებმა და ტყეებმა. ის წერს: „ყველა ქართველი ქრისტიანია, ნათლობისას მათი სახელები არ იცვლება, როგორც ოსების, თუმცა მათაც შემოინახეს წარმართული წარმოდგენები, წმინდა ტყეები, თქმულებები მთის სულებზე, დიად ღმერთ არმაზზე. მათ მონადირეებსაც მიაქვთ ჯიხვის რქები წმინდა სანების გალავანში და ადიდებენ თამარ მეფეს, რომელსაც „პირიმზეს“, „მზის სახეს“ უწოდებენ. იმავე სიმღერებში ადიდებენ „სპარსელ ანგელოზს“ ან „სპარსანგელოზს“ (Уварова, 1887: 96). აქვე განმარტავს, რომ მსგავსი წმინდა ტყეები გვხვდება ბერძნულ და მცირე აზიის მითოლოგიაშიც. მან არაერთი ასეთი წმინდა ადგილი მოინახულა, დაესწრო რიტუალებს. „ყველა ეს ადგილი, რომელსაც ჰქვია, ან არ ჰქვია მთავარანგელოზის სახელი, ყველა დღესასწაული, რომელიც ამ ადგილებზე აღესრულება ამჟამად უცნობი, ლეგენდარული ღვთაებებისათვის, ამტკიცებს, თუ რა ხარისხითაა ქრისტიანული რწმენა შერეული წარმართულ წარმოდგენებთან და ტრადიციებთან. ყოველ წელს იმეორებენ ამ დღესასწაულებს, სწამთ და გვარწმუნებენ, რომ ეს ყველაფერი ხდება წმინდა გიორგის საპატივსაცემოდ, რომელიც, როგორც მეომარი, მთის მოსახლეობისთვის უფრო მისაღები იყო“ (Уварова, 1887: 27). უვაროვა ასევე გვამცნობს, რომ მოსახლეობას წმინდა ტყეში არათუ ხის მოჭრა, არამედ შესვლაც ეკრძალება, სასჯელად კი დაბრმავებას ასახელებს, რისაც მოსახლეობას ძალიან ეშინია და ვერ ბედავს აკრძალვის დარღვევას. გრაფინია უვაროვა მსჯელობისას ახსენებს თქმულებებს „დიად ღმერთს არმაზზე“, თავად თქმულება კი „მოგზაურის ჩანაწერების“ არც ერთ ნაწილში არ გვხვდება. ამ ფაქტს მარტივი ახსნა მოეძებნება - უვაროვას ცნობა არ შეესაბამება სიმართლეს, არმაზის კულტის შესახებ ასეთი ტიპის ფოლკლორული გადმოცემები არ შემონახულა. მის შესახებ მთავარი ინფორმაცია დაფუძნებულია არქეოლოგიურ არტეფაქტებსა და ისტორიულ წყაროებზე, როგორიცაა "ქართლის ცხოვრება" და მოსე ხორენაცის ნაშრომები. ასევე, პრასკოვია უვაროვამ გახალხურებული და გამითიურებული ქართული ქრისტიანული ფოლკლორული სიუჟეტები და დღესასწაულები წარმართობად მიიჩნია. ორივე ხარვეზი შეიძლება უკავშირდებოდეს

ენობრივ ბარიერსა და კავკასიის, როგორც ჯერ კიდევ უცნობი რეგიონის შესახებ არსებულ მწირ ცოდნას.

ხის კულტი მართლაც უხსოვარი დროიდან იყო გავრცელებული არა მხოლოდ საქართველოში, ან კავკასიაში, არამედ მსოფლიოშიც. წმინდა ადგილზე ამოხსნილი ხე განასახიერებდა ცისა და მიწის კავშირს, მარადიული განახლების სიმბოლოს. სკანდინავიურ მითოლოგიაში გვაქვს სიცოცხლის ხე - იგდრასილი, ძველ საბერძნეთში - დოდონას მუხა, ჩინურ მითოსში - ძიან მუ, შუმერულში - ცარბათუ; საქართველოში კი, საკმარისია, გავიხსენოთ მირონმდინარი ხმალას ალვის ხე, ასევე ლაშარის მუხა, რომელიც ოქროს შიბით იყო ზეცას გამობმული და „ამ შიბით, როგორც იაკობის ნახილვები კიბით, მორიგე ღვთისადმი ძღვენის ასატანად ადი-ჩამოდოდნენ ღვთისშვილები“ [კიკნაძე, 1996:26]. ხის კულტი დასტურდება შაფსულებსა და უბიხებთანაც. მათ იცოდნენ პირველი წმინდა ხის დაარსების ანდრეზი, რომელიც მფარველ სოხერეშს უკავშირდებოდა. იგი თავისი ძლევათაგან კვერთხით შავ ზღვაზე ისე მოდიოდა, როგორც მიწაზე. სოხერეშმა ერთ ადგილას შეისვენა და კვერთხი მიწაში ჩაარჭო, რომელიც განედლდა, გაიდგა ფესვები და გაიფოთლა (მამისიმედიშვილი, 2018: 186). „მის [სოხერეშის] მოსვლას მთიელები ზღვიდან ელოდებიან და ყოველწლიურად დეკემბერში აღნიშნავენ, ქრისტეს შობასთან ერთად. ამ დღეს სახლში ხის ტოტი შეაქვთ, რომელსაც 7 რტო აქვს [...] ამ რტოებზე ყვითელი ცვილის სანთლებს ანთებენ, ამაგრებენ ქადებსა და ყველის ნაჭრებს“ (Людье, 1862: 123). მოგზაურ ჟან დე ლუკას, რომელსაც 1637 წელს ჩერქეზეთში უმოგზაურია, თავისი თვალთ უნახავს წმინდა ტყეებში დატოვებული შეწირული ცხოველების თავები. ვეიდენბაუმი აღნიშნავს, რომ ხელშეუხებლობა იმ ადამიანებზეც კი ვრცელდებოდა, ვინც დანაშაულს ჩაიდენდა და თავს ტყეს შეაფარებდა (Вейденбаум, 1901: 71-81). გრაფინიას ჩანაწერები ცხადყოფს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის ხალხებში წმინდა ხეებისა და ტყეების თაყვანისცემა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა.

პრასკოვია უვაროვას ასევე ჩაუწერია გადმოცემა კოპალას სალოცავის დაარსებაზე ფშავში, შუაფხოში. მისი ცნობით, კოპალა ფშავის ძველ მითიურ გმირთა კრებითი სახელია, რომლებმაც ქვეყანა გაათავისუფლეს დრაკონებისაგან/გველეშაპებისაგან. მოგზაურს ადგილობრივი მოსახლეობა აჩვენებდა უზარმაზარ ქვებს, რომლებიც, მათი თქმით, იმ დროიდან შემორჩა, როცა ხევსური გოლიათები ფშავლებს ებრძოდნენ. ყველაზე დიდი ქვის წაღება მოუწოდებია ხევსურ გოლიათს, თუმცა ფშაველ მონადირეს, ვინმე ავთანდილს დაუნახავს, ხე მოუგლეჯია, მისთვის უსვრია და სანამ არაგვს გადაკვეთდა, იქამდე მოუკლავს. ხევსურს ქვა მდინარეში ჩავარდნია, ფშაველ მონადირეს გამოუტანია ნაპირზე, ხოლო იმ ადგილას, სადაც მან ქვა დადო, სალოცავი დაარსებულა. მეტი ცნობა მოსახლეობას არ სცოდნია, ან მეტად სავარაუდოა, რომ უცხო მოგზაურს არ ჩააწერინეს. უვაროვა თავად აღნიშნავს, რომ მასალის შეგროვება ძალიან რთული იყო, რადგან ადგილობრივი მაცხოვრებლები მას უნდობლობითა და ეჭვით ხვდებოდნენ. გრაფინია უვაროვას ფოლკლორულ ჩანაწერებში ხარვეზები სწორედ ამ მიზეზით აიხსნება.

ცნობები კოპალას ქვის შესახებ ფშაურმა ფოლკლორმა მრავლად შემოგვინახა. ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, კოპალამ მართლაც ამოწყვიტა დევეები და არა გოლიათები ფშავში, ირემთკალოზე და ციხეგორში (ვირსალაძე, 1964: 189-191). ასევე, ალექსი ოჩიაურს კოპალას სალოცავის ხევისბრისგან, ხევსურა თათარაშვილისგან ჩაუწერია ამ თქმულების გავრცობილი ვარიანტი. მის თანახმად, პატარა კოპალა, რომელიც ღონიერი და ჭკვიანი ყმაწვილი იყო, პატარაობაში დევებმა მოიტაცეს. მას ძლიერ ავიწროვებდნენ. ამუშავებდნენ, საჭმელს არ აჭმევდნენ და ცუდად ექცეოდნენ. პატარამ გამოპარვა ვერ გაზედა, ხოლო როდესაც მოიზარდა, ბერებთან გაიპარა. უფალს შესთხოვა, დევეების ამოსაწყვეტად საკმარისი ძალა მიეცა, ღმერთმაც აუსრულა ვედრება. ამ დროს დევეები კართანაში ცხოვრობდნენ, ჰყავდათ ხელმწიფე და სამი ფალავანი: მუსა, ავთანდილი და ბელელა. როდესაც კოპალამ მათ აყრა და გადასახლება მოსთხოვა, მისი

ძალა ჯერ რკინის კუნძის გადაჭრით შეამოწმეს, ხოლო შემდეგ სიპი ქვების სროლით. საბოლოოდ, კოპალამ კვირიას დახმარებით გაიმარჯვა და ციხეთგორიც მას დარჩა (ოჩიაური, 1991: 94-95). გრაფინიას ჩანაწერებისგან განსხვავებით, ავთანდილი ფშაურ ანდრეშში არა მონადირე, არამედ დევია, თანაც მას ხევსური გოლიათი კი არა, თავად კოპალა კლავს ლახტით და შემდეგ ქვად აქცევს. ეს ფაქტობრივი უზუსტობაც შეიძლება ენის არ ცოდნას მივაწეროთ.

გრაფინიას ჩანაწერებში ასევე ვხვდებით ცნობას ქართლოსის შესახებ, რომელსაც იგი „საქართველოს დამაარსებელს“ უწოდებს. აღნიშნავს, რომ მან ააშენა „მტკვრის ციხე ან კუპანი“. აღსანიშნავია, რომ ჩაწერისას, რადგან იგი არ ფლობდა ქართულ ენას, დაუშვა ფონეტიკური შეცდომა. ქართლოსს მართლაც მიეწერება მტკვრის/მტვრის ციხის აგება, თუმცა მას ისტორიულად „ხუნანი“ ერქვა: „შემდგომად ამისა ამაჲ-ვე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვან სამშვილდე. და კუალად აღაშენა მტუერის-ციხე, რომელსა აწ ჰქვან ხუნანი“ (ყაუხჩიშვილი, 1955: 8).

ფოლკლორული გადმოცემები მას შეკვეცილი და სხვათა სიტყვის ფორმით აქვს ჩაწერილი, უშვებს რამდენიმე ფაქტობრივ შეცდომასაც, რაც ენის არცოდნით შეიძლება ავხსნათ. პრასკოვია უვაროვას ნაშრომები ძირითადად აღწერითი ხასიათისაა. მისი ინტერესის სფერო არქიტექტურული ძეგლები, სალოცავები და ეკლესიებია. შესაბამისად, მისი ჩანაწერები დეტალურ აღწერილობას წარმოადგენს ამა თუ იმ სალოცავზე. გრაფინია დაწვრილებით აღწერს მათ არქიტექტურას, მდგომარეობასა და მვირფასეულობას, რომელიც მათში ინახებოდა. გრაფინია უვაროვა „მოგზაურის ჩანაწერებში“ გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სვანები მას საგანძურს უმაღლავდნენ და არ აჩვენებდნენ. ამას ობიექტური მიზეზი ჰქონდა - იმ დროს საქართველოს სალოცავთა საგანძურები მასობრივად იძარცვებოდა. სვანებს, ისევე როგორც თუშებს, ფშავლებსა და ხევსურებს იოტისოდენა ნდობაც კი არ გააჩნდათ მეფის მოხელეთა მიმართ, რომლებიც ქართულ საგანძურს ხშირად რუსეთში გზავნიდნენ.

გრაფინია უვაროვა სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოში წმინდა გიორგისა და თამარ მეფის კულტია გაბატონებული, რადგან უმეტესი სალოცავისა და ციხესიმაგრის დაარსება მათ მიეწერებათ (Уварова, 1904: 38-39). ასეთია, მაგალითად, თამარის ციხე დარიალში. „ვახტანგის ისტორია მის აშენებას სპარს მირვანს მიაწერს... ხალხი თავის ფანტაზიებსა და პოეზიაში ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ სიტყვა „დარია“ სპარსულად კარიბჭეს ნიშნავს, მიაწერს ამ ციხესიმაგრის აშენებას ვინმე დედოფალ დარიას, რომელიც შემდეგ ისტორიულ ან მითოლოგიურ თამარ მეფედ გადაიქცა“ (Уварова, 1887: 88). აქვე აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს, რომელიც სინამდვილეში თამარ მეფის დიდი პაპაა, მის მამად მიიჩნევენ და მიაწერენ დარიალში კარიბჭის აშენებას. თამართან დაკავშირებული ციხესიმაგრეები და მონასტრები მას საქართველოს ყველა კუთხეში ხვდება. მის სახელს მიეწერება უშგულში ციხესიმაგრის აგება, ლაშარის ჯვრის მოპირდაპირედ თამარ ნეფის სალოცავის დაარსება, გორში დაგუბებული წყლის დაშრობა და მტკვრისთვის კალაპოტის მიცემა, მაირამის (ღვთისმშობლის) სახელობის სალოცავის აშენება ოსეთში. ეს მოწმობს ხალხის განსაკუთრებულ სიყვარულს, რომლითაც მეფე სარგებლობდა და რომელიც დღემდე განცვიფრებას იწვევს. განსაკუთრებით საინტერესოა გადმოცემა, რომელიც მკვლევარს აჭარაში, ჭანჭახში, ჩაუწერია.

„მაღლა ხეობაში, სატყეველას დასახლებასთან ახლოს, გვიჩვენებენ შემადლებულ ადგილს, რომელსაც მოსახლეობა კელა-თაფას, ან „შეყვარებულთა თავის ქალის მთას“ უწოდებს. ეს მთა, ხალხური გადმოცემის თანახმად, თამარ მეფეს აღუმართავს მტრის თავის ქალებისგან თურქის ჯარზე გამარჯვების ნიშნად, რომელიც საქართველოს თავს სულთნის მეთაურობით დაესხა. მას თამარ მეფის ცოლად შერთვა სურდა და განრისხებული იყო მისი უარით. თამარმა, რომელიც გამოსავალს ვეღარ ხედავდა, თავისი ბანაკის ირგვლივ ღრმა ორმოს ამოთხრა ბრძანა, რომელიც ხის ტოტებით შენიღბა. ამის

შემდეგ მტერს შეუთვალა, რომ მზად იყო ქმრად ელიარებინა და სამეფო დაეთმო იმისთვის, ვინც მის ბანაკს პირველი მიაღწევდა. გაოგნებული და გახარებული თურქები სატყუარას წამოეგნენ, გაემურონენ ბანაკისკენ და ზოგი ორმოში დაიღუპა, გადარჩენილები კი თამარის მეომრებმა ამოწყვიტეს. ამის შემდეგ თამარმა გამარჯვების ნიშნად გორა აღმართა, რომელშიც ადგილობრივი ოლქის მმართველის მტკიცებით, დღესაც პოულობენ თავის ქალებს“ (Уварова, 1891: 271-272). ეს გადმოცემა იმითაცაა საინტერესო, რომ წარმოადგენს ისტორიული ფაქტისა და მითიური გამონაგონის ნაზავს. ისტორიულად, თამარ მეფეზე დაქორწინება და სამეფოს წართმევა მართლაც სურდა რუმის სულთან რუქნადინს. ხმა ქართველი მეფის სილამაზესა და სიბრძნეზე მთელ მსოფლიოში იყო მოდებული, ამიტომ იგი არ იყო პირველი მუსლიმი ხელის მთხოვნელი. რუქნადინმა კი კადნიერი წერილი გამოუგზავნა თამარ მეფეს: „*მე ნუქარდინ. სულტანი ყოვლისა ცისა-ქუეშისა უმაღლესი, მიმსგავსებული ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი ღმრთისა, მოვლინებული მოჰმედისაგან მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს. ყოველი დიაცი რეგუენია და შენ გიბრძანებია ქართველთა აღებად ჯრმალთა და ღმრთისაგან საყუარელისა ისლემთა ერისა დაჯოცად მუსულმანთა. და კუალად ნათესავსა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური. და აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა და განგწუართო შენ და ერი ეგე შენი არაოდეს კადრებად აღებად ჯრმლისა, რომელი ღმერთსა ჩუენდა უბოძებია. ხოლო ცხოვნებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწინარეს მოსლვისა ჩემისა თაყუანისმცეს წინაშე კარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მოჰამად მოციქულისა, და უარ ყოს სჯული შენი და კელითა თვსითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯუარისა, რომლისა მიმართ დაგიცთ ცუდი სასოება, და აწ მოელოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვე სპარსთა“* (ქართლის ცხოვრება, 2012: 121-122). ზაქარია მხარგრძელმა ელჩს ისეთი სილა გააწნა, რომ იგი უგონოდ დაეცა. შედეგად, ბასიანის ბრძოლა გაიმართა, რომელშიც თამარ მეფემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ხალხის მეხსიერებამ ეს ფაქტი შემოინახა, თავისებურად გადაამუშავა და საკუთარ გეოგრაფიულ გარემოსაც მოარგო. ფოლკლორისათვის მსგავსი გადამუშავება უცხო არაა, ისტორიული დრო და ადგილი ქრება და მის ადგილს იკავებს მითოლოგიური დრო. მირჩა ელიადეს თქმით „იმის მიხედვით, თუ მოცემული ოპერაციის პარადიგმული განმეორების საშუალებით რაიმე ქმედება (ან ნივთი) იძენს გარკვეულ რეალობას, ხდება პროფანული დროის, ხანგრძლივობისა და „ისტორიის“ ფარული გაუქმება და ის, ვინც ახორციელებს არქეტიპულ ქმედებას, ყოველივე ამის წყალობით, მითოლოგიურ, ანუ იმ დროში გადადის, როდესაც პირველად ჩატარდა ეს მოცემული არქეტიპული ქმედება“ (ელიადე, 2017: 60). ხალხის გონებაში ლეგენდარულ მმართველს მიეწერება თითქმის ყველა მიღწევა, ისინი საკუთარ გეოგრაფიულ ლანდშაფტს არგებენ მითოლოგიური პერსონაჟის ქმედებებს და ამით ამტკიცებენ მის მოქმედებათა ნამდვილობას.

გარდა თამარ მეფისა, ხალხის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს დავით აღმაშენებელიც. მას მიეწერება არაერთი ციხე-სიმაგრის, მონასტრისა და ეკლესიის აშენება. მათ შორის გელათის ღვთისმშობლის ტაძარი, რომლისთვისაც საშენი მასალა მეფეს თავისი ხელით ამოუტანია სიმაღლეზე. აქვე ინახება მეფის ვერცხლის ბეჭედი, რომელიც ტაძრისთვის შეუწირავს (Уварова, 1887: 160-164).

პრასკოვია უვაროვას ჩანაწერებში გვხვდება ცალკეული ცნობები საქართველოს სხვა მეფეების (ვახტანგ გორგასლანის, ბაგრატ III-ის, ლაშა-გიორგის, დავით ნარინის, დავით ულუსა და სხვ.) შესახებ, თუმცა ისინი, ძირითადად, ისტორიული და აღწერითი ხასიათისაა და რაიმე მნიშვნელოვან ფოლკლორულ ცნობებს არ შეიცავენ.

სალოცავთა დაარსების გადმოცემებისა და ქართველ მეფეებზე ლეგენდების გარდა, პრასკოვია უვაროვამ ჩაიწერა ცალკეული მითოლოგიური გადმოცემებიც. მართალია, მის ჩანაწერებში ისინი შეკვეცილი ფორმით და არასრულადაა წარმოდგენილი, მაგრამ

ზეპირსიტყვიერების იმდროინდელ მდგომარეობაზე გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნის.

სვანეთში, სოფელ ლაშთხვერში, გრაფინია უვაროვას შეუმჩნევია ფრესკები, რომლებიც „ამირანდარეჯანიანის“ სიუჟეტებითაა მოხატული. ისინი ასახავს ამირანის ბრძოლას ურჩხულთან/გველეშაპთან/ბაყბაყდევენთან და მისი მუცლიდან გამოსვლის ეპიზოდს. ასევე, ვხვდებით ბადრის, უსუპისა და სეფედავლეს ფრესკებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფრესკები მოსე ხონელის პოემიდანაა, თუმცა იქვე განმარტავს, რომ ამირანი ხალხური გმირია, ისევე, როგორც ნართები ოსურ ტრადიციაში (Уварова, 1904: 293).

ოსეთში მოგზაურობისას გრაფინია უვაროვამ არაერთი გადმოცემა ჩაიწერა ლეგენდარულ გმირებზე, ნართებზე. იგი ახსენებს ოს-ბაღათერს, სიდამონს, არხონცს, ბატცსა და ცარაცონცს. მათგან გამორჩეულია უნიკალური გადმოცემა ნართ ბათრადზე, რომლის თანახმადაც გმირი მთავარანგელოზ მიქაელს შეებრძოლა და, რადგან ამ ბრძოლაში დამარცხდა, იძულებული გახდა მისთვის ბეჭედი დაეთმო. ეს ბეჭედი მიქალგაბირთას სალოცავში ინახება და, როგორც გრაფინია აღნიშნავს, მისი ნახვა მსურველებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ.

ბათრადის სახელი, მართლაც, დაკავშირებულია მიქალგაბირთას სალოცავთან, თუმცა სულ სხვა სიუჟეტით. როდესაც იგი გარდაიცვალა, მისი ცხედრის აწევა ვერავინ შეძლო, მხოლოდ თუთიურის თვეში დაბადებულმა მოზვრებმა შეძლეს მისი ატანა სოფიოს აკლდამასთან. შეტანა გაუძნელდათ, მაშინ „ანგელოზებმა ისევ ღმერთს მიმართეს, აუხსნეს საქმის ვითარება. — იგი ჩემგან საჩუქარს ითხოვსო, — თქვა ღმერთმა და ციდან სამი ცრემლი ჩამოაგდო. ეს იყო და ანგელოზებმა თავისუფლად შეიტანეს სოფიოს აკლდამაში ბათრადის ცხედარი და დამარხეს. იქ, სადაც ღმერთის სამი ცრემლი დაეცა, სამი სალოცავი აღიმართა: თარანჯელოზი, მიქალგაბირთა და რექომი“ (ნართები, 1988: 272). იგი სიცოცხლის ბოლოს გაბუდაყდება, ებრძვის ზეციურ ძალებს, რითაც ემსგავსება ამირანს. „ბათრადისა და ამირანის დაპირისპირება ცასთან, ზეცის ბინადრებთან, ღმერთთან, საბოლოოდ მარცხით მთავრდება“ (მამისიმედიშვილი, 2015: 273), თუმცა ორივე მათგანს ეძლევა ყველაფრის გამოსწორების შანსი. ამირანი თავისი ცოდვების გამოსასყიდადაა მიჯაჭვული, ხოლო ბათრადი ღმერთმა სიკვდილის წინ შეიწყალა - მას სამი ცრემლი აჩუქა.

აჭარაში უვაროვამ ჩაიწერა გადმოცემა ქალის კლდეზე. ადგილობრივები ყვებიან ვინმე ჩილანგ/ჩალანგ ეფენდიზე, რომელიც წესიერებით გამოირჩეოდა. ერთხელაც, იგი სამოგზაუროდ წავიდა. გზაში შეიტყო ცოლის ღალატის შესახებ, დაბრუნდა, ქალი დაწყევლა და ისიც კლდედ გადაიქცა. მოგვაგონებს გავრცელებული ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტს - ქალი ჯადოსნური მათრახით ხელმწიფის შვილს აქვავებს ხოლმე (ძიძიგური, 1959: 123-138). ასევე ქვავდება ბიბლიური ლოტის ცოლიც. იგი ისჯება იმიტომ, რომ გარყვნილებით აღსავსე სოდომისა და გომორასკენ გაიხედა.

დასკვნა: მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებისა, პრასკოვია უვაროვას მიერ შეკრებილი მასალა ძალზე მნიშვნელოვანია ფოლკლორისტიკისათვის. ის ისეთ ცნობებს გვაწვდის, რომელიც შეიძლება უფრო გვიანდელ ვარიანტებში დაკარგული იყოს. როგორც ვიცით, ფოლკლორისტიკა, როგორც მეცნიერება მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ნებისმიერი გადმოცემა, რომელიც ამ პერიოდს მიეკუთვნება, ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ყველაზე ახლოს დგას პირვანდელ, ე. წ. არქეტიპულ ტექსტთან.

ასევე, გრაფინია აღნიშნავს მოსახლეობის დამოკიდებულებას, ისინი ეჭვის თვალით უყურებდნენ არქეოლოგს და ცნობების მოსაპოვებლად დიდი ძალისხმევა უხდებოდა. მაგალითად, ასევე, თავის ვარაუდს გამოთქვამს ამა თუ იმ ტოპონიმის გენეზისის შესახებ, აღწერს რიტუალებს, განიხილავს ხევისურთა წარმომავლობას. გარდა მეცნიერული აზრებისა, გრაფინია გამოთქვამს საკუთარ ვარაუდს რუსეთის პოლიტიკის შესახებ

კავკასიის ხალხების მიმართ, გარკვეულწილად აკრიტიკებს მას (ტაძრების შეთეთრებას, საგანძურის გატანას), რაც იმ ეპოქისთვის დიდ გამბედაობას მოითხოვს. სწორედ ამ კუთხითაა პრასკოვია უვაროვას ჩანაწერები განსაკუთრებული.

გამოყენებული ლიტერატურა

- ელიაძე, მ. (2017). *მარადიული დაბრუნების მითი*. თბილისი: ალეფი.
- ვირსალაძე, ე. (1964). *ხალხური სიბრძნე, ქართული ეპოსი*. ტ. III, თბილისი: ნაკადული.
- კიკნაძე, ზ. (1996). *ქართული მითოლოგია (ჯვარი და საყმო)*. ქუთაისი: ნეკერი.
- მამისიმედიშვილი, ხ. (2015). *ოსური ფოლკლორი*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მამისიმედიშვილი, ხ. (2018). არქეტიპული და ქრისტიანული მოტივების რეპრეზენტაცია ჩერქეზულ მითოსში. *ლიტერატურული კვლევები*. №2.
- ნართები. (1988). *ოსურიდან თარგმნა მ. ცხოვრებოვამ*. ცხინვალი: ირისთონი.
- ოჩიაური, ა. (1991). *ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი)*. თბილისი: მეცნიერება.
- ყაუხჩიშვილი, ს. (1955). *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი: სახელგამი.
- ქართლის ცხოვრება*. (2012). ცხოვრება წმინდა მეფე თამარისი. ახალი ქართლის ცხოვრება - მამული, ენა, სარწმუნოება 3. ტექსტები ძველი ქართულიდან გადმოიტანეს და კომენტარები დაურთეს მაია რაფაჟამ, გიორგი მაჭარაშვილმა. თბილისი: ახალი ივირონი.
- მიდიგური, შ. (1959). *ქართული ხალხური ზღაპრები*. თბილისი: საბლიტგამი.
- Вейденбаум, Е. Г. (1901). *Кавказские этюды. Исследования и заметки*. Центр. кн. Торг. Тифлис.
- Капитонов, К. (4 апреля 2011). *Уваровы, служившие России. Княжна Щербатова*. Уваровка, Подмосковье, Россия.
- Соболевский, А. И (1925). *Извѣстія Россійской Академіи Наукъ*. VI серия, Т. 19, №6-8, Москва.
- Толстой, С. Л. (1939). *Об отражении жизни в «Анне Карениной»: из воспоминаний С. Л. Толстого, Пушкинский Дом*. Санкт-Петербург.
- Лазарев, М. П. (1866). *Акты, собранные Кавказской археографической комиссией*. Тип. Главного Управления Наместника Кавказского. Тифлис.
- Люлье, Л. Я. (1862). *Верования, религиозные обряды и предрасудки у черкес, Записки кавказского отдела императорского русского географического общества*. кн. V, Тифлис.
- Уварова, П. (1887). *Путевые заметки, Кавказ*. Москва: Типография А. П. Мамонтова и К. Леонтьева.
- Уварова, П. (1891). *Путевые заметки, Кавказ (Абхазия, Аджария, Шавшетия Посховский участок)*, Москва: тип. Товарищество Скоропечатни А. А. Левенсон.
- Уварова, П. (1904). *Путевые заметки*. Ч. 3. Кавказ: Рача, Горийский уезд, горы Осетии, Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Москва: Тип. о-ва распространения полезных книг, аренд. В.И. Вороновым.

REFERENCES

- eliade, m. (2017). *maradiuli dabrunebis miti [The Myth of the Eternal Return]*. Tbilisi: Alepi.
- virsaladze, e. (1964). *khalkhuri sibrdzne, kartuli ep'osi [Folk Wisdom, Georgian Epic]*. Vol. III. Tbilisi: Nakaduli.
- k'ik'nadze, z. (1996). *kartuli mitologia (jvari da saqmo) [Georgian Mythology (The Cross and the Rite of Passage)]*. Kutaisi: Nekeri.
- mamisimedishvili, kh. (2015). *osuri polk'lori [Ossetian Folklore]*. Tbilisi: University Publishing.
- mamisimedishvili, kh. (2018). *arket'ip'uli da krist'ianuli mot'ivebis rep'rezent'atsia cherkezul mitosshi [Representation of Archetypal and Christian Motifs in Circassian Mythology]*. *lit'erat'uruli k'vlevebi [Literary Studies]*. No.2.
- nartebi [Narts]*. (1988). Translated from Ossetian by M. Tsvitsivadze. Tskhinvali: Iristoni.
- ochiauri, a. (1991). *kartuli khalkhuri dgheobebi aghmosavlet sakartvelos mtianetshi (pshavi) [Georgian Folk Festivals in the Mountains of Eastern Georgia (Pshavi)]*. Tbilisi: Metsniereba.
- qaukhchishvili, s. (1955). *kartlis tskhovreba [The Georgian chronicles]*. Text established based on all main manuscripts by S. Kaukhchishvili. Vol. I. Tbilisi: Sakhelgami.
- kartlis tskhovreba [The Georgian chronicles]*. (2012). *tskhovreba ts'minda mepe tamarisi. akhali kartlis tskhovreba - mamuli, ena, sarts'munoeba 3 [The Life of Saint Queen Tamar. New Georgian chronicles – Homeland, Language, Faith 3]*. Translated and annotated from Old Georgian by Maia Rafava, Giorgi Macharashvili. Tbilisi: Akhali Ivroni.
- dzidziguri, sh. (1959). *kartuli khalkhuri zghap'rebi [Georgian Folk Tales]*. Tbilisi: Sablitgami.
- Vejdenbaum, E. G. (1901). *Kavkazskie jetjudy. Issledovaniya i zametki [Caucasian Etudes: Studies and Notes]*. Central Book Trade Center. Tiflis.
- Kapitonov, K. (4 aprilja 2011). *Uvarovy, sluzhivshie Rossii. Knjazhna Shherbatova [The Uvarovs Who Served Russia. Princess Shcherbatova]*. Uvarovka, Moscow Region, Russia.
- Sobolevskij, A. I (1925). *Izvest i ja Ross i jskoj Akadem i i Nauk# [Proceedings of the Russian Academy of Sciences]*. VI Series, Vol. 19, No. 6–8, Moscow.
- Tolstoj, S. L. (1939). *Ob otrazhenii zhizni v «Anne Kareninoj»: iz vospominanij S. L. Tolstogo, Pushkinskij Dom [On the Reflection of Life in "Anna Karenina": From the Memoirs of S. L. Tolstoy, Pushkin House]*. St. Petersburg.
- Lazarev, M. P. (1866). *Akty, sobrannye Kavkazskoj arheograficheskoy komissiej [Acts Collected by the Caucasian Archaeographic Commission]*. T Printing House of the Chief Administration of the Caucasian Viceroy. Tiflis.
- Ljul'e, L. Ja. (1862). *Verovaniya, religioznye obrjady i predrasudki u cherkes, Zapiski kavkazskogo otdela imperatorskogo russkogo geograficheskogo obshhestva [Beliefs, Religious Rites, and Superstitions among the Circassians, Notes of the Caucasian Department of the Imperial Russian Geographical Society]*. Vol. V. Tiflis.
- Uvarova, P. (1887). *Put'evye zametki, Kavkaz [Traveler's Notes, Caucasus]*. Moscow: A. P. Mamontov and K. Leontyev Typography.
- Uvarova, P. (1891). *Put'evye zametki, Kavkaz (Abhazija, Adzharija, Shavshetija Poshovskij uchastok) [Traveler's Notes, Caucasus (Abkhazia, Adjara, Shavsheti, Poskhov District)]*. Moscow: A. A. Levenson Rapid Printing Partnership.
- Uvarova, P. (1904). *Putevye zametki [Traveler's Notes]*. Part 3. Kavkaz: Racha, Gorijskij uezd, gory Osetii, Pshavija, Hevsuretiya i Svanetija [caucasus: Racha, Gori District, Mountains of Ossetia, Pshavi, Khevsureti, and Svaneti]. Moscow: Publishing Society for the Distribution of Useful Books, rented by V. I. Voronov.